2010 წელს და 2010 წლის შემდეგ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩარიცხული სტუდენტების სწავლის საფასურის გადახდის წესი

1. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტსა და სტუდენტს შორის ფორმდება ხელშეკრულება, რომელშიც გაწერილია სწავლის საფასურის ოდენობა და გადახდის წესი დანართების შესაბამისად (დანართი: ხელშეკრულების პროექტები);
2. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში სწავლის საფასური განისაზღვრება ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანებით და არ აღემატება სახელმწიფო სასწავლო გრანტის ოდენობას, გამონაკლისია მხოლოდ სადოქტორო პროგრამები და უცხო ქვეყნის მოქალაქეთა სწავლის საფასურის ოდენობა;
3. სასწავლო საფეხურის შესაბამისად, დადგენილია კრედიტების მინიმალური რაოდენობა და დრო რომელში სტუდენტმა უნდა დააგროვოს ეს კრედიტები. აღნიშნული ვადები და კრედიტების ოდენობა მიეთითება სტუდენტთან გასაფორმებელ ხელშეკრულებაშიც:
   ა) პროფესიული უმაღლესი განათლების პროგრამის სტუდენტებისთვის: ორწლიანი, 120 კრედიტი ან სამწლიანი, 180 კრედიტი, პროგრამის შესაბამისად;
   ბ) საბაკალავრო საფეხურისთვის: ოთხწლიანი, 240 კრედიტი;
   გ) სამაგისტრო საფეხურისთვის: ორწლიანი, 120 კრედიტი;
   დ) სადოქტორო საფეხურისთვის: 3-დან 5 წლამდე, 180 კრედიტი.
4. ხელშეკრულების გაფორმების ვადები:
   ა) პროფესიული უმაღლესი და საბაკალავრო პროგრამების სტუდენტებისთვის არაუგვიანეს 1 ოქტომბრისა;
   ბ) სამაგისტრო პროგრამების სტუდენტებისთვის არაუგვიანეს 30 ოქტომბრისა;
   გ) ზაფხულის მობილობის სტუდენტებისთვის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) - 15 სექტემბრამდე, ზამთრის მობილობის სტუდენტებისთვის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) - 1 მარტამდე.
5. გადახდის ვადები:
   ა) პროფესიული უმაღლესი და საბაკალავრო პროგრამების სტუდენტები პირველი წლის საფასურს (მთელი სასწავლო წლის საფასურს) იხდიან 1 ოქტომბრამდე. ამ ვადის გადაცილების შემთხვევაში, თუ ისინი დაფარავენ სწავლის საფასურს ორი

კვირის ვადაში, დაჯარიმდებიან 50 ლარით. ყველა შემდეგ სასწავლო წელს სტუდენტებს სწავლის საფასური შეუძლიათ დაფარონ ორ ნაწილად: I სემესტრის საფასური -15 სექტემბრამდე, მეორე სემესტრის - 1 თებერვლამდე. თუ სტუდენტი დაფარავს სწავლის საფასურს სწავლის დაწყებიდან ორი კვირის ვადაში, დაჯარიმდება 50 ლარით. თუ სწავლის საფასურის დაფარვა დაგვიანდება ორ კვირაზე მეტ ხანს, სტუდენტებს უჩერდებათ სტუდენტის სტატუსი და შეუძლიათ სწავლა განაგრძონ შემდეგი სემესტრიდან, საფასურის დაფარვის შემთხვევაში, „სტუდენტთა სტატუსის შეჩერების წესის“ შესაბამისად.

ბ) სამაგისტრო პროგრამების სტუდენტები ერთი წლის (ორი სემესტრის) სწავლის საფასურს იხდიან ორ ნაწილად.

იმ შემთხვევაში თუ სტუდენტი სწავლას იწყებს შემოდგომის სემესტრიდან იგი ვადებულია გადაიხადოს სწავლის საფასური შემდეგი გრაფიკის შესაბამისად:

სემესტრი	**გადახდის ვადა**
1 სემესტრი	15 ნოემბერი
2 სემესტრი	15 თებერვალი
3 სემესტრი	15 სექტემბერი
4 სემესტრი	15 თებერვალი

იმ შემთხვევაში თუ სტუდენტი სწავლას იწყებს გაზაფხულის სემსტრიდან იგი ვადებულია გადაიხადოს სწავლის საფასური შემდეგი გრაფიკის შესაბამისად:

სემესტრი	**გადახდის ვადა**
1 სემესტრი	15 თებერვალი
2 სემესტრი	15 სექტემბერი
3 სემესტრი	15 თებერვალი
4 სემესტრი	15 სექტემბერი

თუ სტუდენტი სემესტრის სწავლის საფასურის გადახდას დააგვიანებს გადახდის ვადის დადგომიდან ერთი თვემდე ვადით, იგი დაჯარიმდება 50 ლარით. თუ სწავლის საფასურის დაფარვა დაგვიანდება სწავლის დაწყებიდან ორ კვირაზე მეტ

ხანს, სტუდენტებს უჩერდებათ სტუდენტის სტატუსი და შეუძლიათ სწავლა განაგრძონ შემდეგი სემესტრიდან, სწავლის საფასურის და დარიცხული ჯარიმის დაფარვის შემთხვევაში.

„სტუდენტთა სტატუსის შეჩერების წესის“ შესაბამისად.

გ) ზაფხულის მობილობის სტუდენტები (ასეთის არსებობის შემთხვევაში) სწავლის საფასურს იხდიან - 1 ოქტომბრამდე, ზამთრის მობილობის სტუდენტები (ასეთის არსებობის შემთხვევაში) - 15 მარტამდე;

დ) დოქტორანტურისთვის მოქმედებს ინდივიდუალური გადახდის ვადები და განისაზღვრება ხელშეკრულებით (ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანების საფუძველზე);

ე) გადავადების გრაფიკის გაფორმების შემთხვევაში, გადასახადის დარიცხვა ხორციელდება ყოველი თვის პირველ რიცხვში და გადახდის ვადა განისაზღვრება შემდეგი თვის 1 რიცხვამდე. გადასახადის არასრულად დაფარვის ან გადახდის ვადის დარღვევის შემთხვევაში, სტუდენტი ჯარიმდება 20 ლარით ყველა ვადაგადაცილებულ თვეზე. ერთ თვეზე მეტად დაგვიანების შემთხვევაში, მათ შესაძლოა შეუჩერდეთ სტუდენტის სტატუსი.

6. სოციალურად დაუცველმა სტუდენტებმა, რომლებიც გეგმავენ სოციალური დახმარების პროგრამებში მონაწილეობას და შეტანილი აქვთ საბუთები დახმარების მისაღებად, ამის შესახებ უნდა აცნობონ უნივერსიტეტს წერილობით საფასურის დაფარვისათვის დადგენილ ვადებში და დაურთონ შესაბამისი დოკუმენტი. კომისია განიხილავს წარმოდგენილ დოკუმენტაციას და იღებს გადაწყვეტილებას, მისცეს თუ არა სტუდენტს საგნების არჩევის უფლება გადასახადის სრულად დაფარვამდე.
7. სოციალურად დაუცველმა სტუდენტებმა, რომლებსაც სურთ სწავლის საფასურის დაფარვის გადავადება, განცხადებით უნდა მიმართონ საუნივერსიტეტო კომისიას სწავლის დაწყებამდე. კომისია განიხილავს მოთხოვნებს ერთი კვირის ვადაში. დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში, სტუდენტთან ფორმდება შესაბამისი გადავადების/ გადახდის გრაფიკის ხელშეკრულება;
8. სტუდენტებს, რომლებიც არ დაიცავენ მე-4 და მე-5 მუხლით განსაზღვრულ ვადებსა და პირობებს, არ მიეცემათ საშუალება აირჩიონ/დაარეგისტრირონ საგნები და პროგრამები;
9. სტუდენტებთან, რომლებიც საქართველოს კანონმდებლობით და ამ წესის მესამე მუხლით დადგენილ ვადებში ვერ დააგროვებენ შესაბამის კრედიტებს შესაბამისი

ხარისხის მისაღებად, უნივერსიტეტი გააფორმებს ახალ ხელშეკრულებას შემდეგნაირად: სწავლის საფასურს სტუდენტი გადაიხდის იმ სასწავლო წლისთვის დადგენილი სწავლის საფასურის პროპორციულად. მაგ.: სტუდენტს ასაღები აქვს 20 კრედიტი, იგი გადაიხდის: 2250/60X20 (სადაც 2250 არის მიმდინარე სასწავლო წლისთვის დადგენილი ერთი წლის სწავლის საფასური, 60 არის ერთ სასწავლო წელს ასაღები კრედიტების რაოდენობა და 20 არის დარჩენილი კრედიტების რაოდენობა);

10. სტუდენტმა, რომელიც გადაწყვეტს უნივერსიტეტში სწავლის შეწყვეტას (ამორიცხვას), ამის შესახებ უნდა განაცხადოს სასწავლო წლის დაწყებიდან ორი კვირის ვადაში, ასეთ სტუდენტს უკან დაუბრუნდება შეწყვეტილი სემესტრის/სემესტრების სწავლის საფასურის 90%, ამ ვადის გასვლის შემდეგ უნივერსიტეტი სწავლის თანხას უკან არ აბრუნებს.
11. სტატუსშეჩერებული სტუდენტის აღდგენა ხდება სასწავლო წლის დაწყებიდან 2 კვირის ვადაში, შესაბამისი ვაკანსიების არსებობის შემთხვევაში. თუ სტუდენტს სატატუსი შეჩერებული აქვს ფინანსური დავალინების გამო, მან უნდა დაფაროს ძველი დავალიანებაც და მიმდინარე საფასურიც.